89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

89 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №6 (7083) 1 მარტი 2023 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

შუალედური და რიგგარეშე არჩევნები...

29 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დანიშნა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნები ფოთის, ხობისა და სენაკის საარჩევნო ოლქში და მერების შუალედური არჩევნები ცაგერისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში. ცესკოს გადაწყვეტილებით, არჩევნები 29 აპრილს გაიმართება.

საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტებში საკრებულოების შუალედური, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნებზე 29 აპრილს ამომრჩევლები აირჩევენ: საქართველოს პარლამენტის ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარ დეპუტატს, გურჯაანის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის, ქუთაისის საკრებულოების მაჟორიტარ დეპუტატებს, ასევე ცაგერისა და თერჯოლის მერებს.

პარტიის, მიმდინარე წლის 22 თებერვლის, პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პარტიის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა:

„პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად წარადგენენ მანუჩარ რობაქიძის კანდიდატურას. „მანუჩარი სპეციალობით არის ისტორიკოსი. მას დამთავრებული აქვს იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს, ის იყო მუნიციპალური საკრებულოს წევრი, კერძო კომპანიებში - „ზესტაფონ გაზსა“ და „სოკარში“ მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი და ეკავა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობა. 2021 წელს მანუჩარ რობაქიძე დაინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ, ხოლო 2022 წლიდან ის ასრულებს თერჯოლის მერის მოვალეობას. მანუჩარს ვუსურვებთ წარმატებებს და თერჯოლის მერად არჩევას. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სამივე კანდიდატს. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მოიპოვებენ ამომრჩევლის ნდობას და აუცილებლად გაიმარჯვებენ არჩევნებში“—აღნიშნა მან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დასახელება, აღიარება და დიდი პასუხისმგებლობაა...

წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ მანუჩარ რობაქიძეს 29 აპრილის არჩევნებში!

ზამთარი დიდთოვლობით დაგვემშვიდობა...

ზამთრის ბოლო თვის მეორე დეკადა, როგორც თებერვალს სჩვევია, კიდევ ერთხელ გამოირჩა დიდთოვლობით...

რამდენიმე დღე თითქმის განუწყვეტლივ თოვდა... თოვდა ხვავრიელად... როგორც მოსალოდნელი იყო საზრუნავიც ბევრი გაჩნდა, პრობლემებმაც იჩინა თავი...

თუმც, დიდთოვლობამდე ცოტა ადრე, თერჯოლაში პირველი თოვლის მოსვლით მიღებული გაკვეთილი კარგად წაადგა მუნიციპალურ სამსახურებს და მუნიციპალიტეტში მოქმედ „საქქორგაზის“ და „ენერგოპროჯორჯიას“ ქვედანაყოფებს, რომლებმაც შეიძლება ითქვას, პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებულ ვალდებულებები და მნიშვნელოვნად შეუმსუბუქეს შექმნილი მდგომარეობა მოსახლეობას.

☞2

გაზაფხულდა, აყვავილდა ლურჯთვალება ია...

ზამთარი დიდთოვლობით დაგვემშვიდობა, გაზაფხული ლურჯთვალება იებით, ფურუსულებით და თეთრად აფეთქებული ტყემლის ყვავილებით შემოდის...

ჩვენო ქალბატონებო—ჩვენო ძვირფასო დედებო, ბებიებო, ჩვენო დებო, მეუღლეებო, შვილებო დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ!

რას წერდა ჩვენი წინამორბედი გაზეთი „ წინსვლა“ 1975 წლის 8 მარტს. იხილეთ გვ. 4

ქრონიკები „თერჯოლის“ წინამორბედების ფურცლებიდან...

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, „თერჯოლის“ რედაქციის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან.

სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი პირველი წინამორბედის, **პირველი მემატიანის „ჩხარის კოლმეურნის“ მხოლოდ 1934 წლის 12 თებერვლის** ნომერი მოვიპოვეთ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პირადად ქალბატონ მაია მიქაბერიძეს. ამჯერად, მის მეორე გვერდს გთავაზობთ. „თერჯოლას“ მომდევნო ნომრებში კი სხვა გვერდებსაც გაგაცნობთ. ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის (რაიონის) წარსულის ამ ქრონიკებს ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

ტექსტები დედნების იდენტურია.

☞3

წარმოგიდგენთ თერჯოლის საპატიო მოქალაქეებს

საახალწლოდ, თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა ოთხ თერჯოლელს: ნარგიზ ცქიფურიშვილს, პაატა მხეიძეს, ომარ ნიშნიანიძეს და დემირ დოლაკიძეს.

„თერჯოლა“ ამჯერად წარმოგიდგენთ ნარგიზ ცქიფურიშვილს.

☞5

ზამთარი დიდთოვლობით დაგვემშვიდობა...

1☞

მათ საქმიანობაზე ასეთი შეფასება გააკეთა ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ. „ამ სამსახურების ცენტრებმა, მათმა საავარიო ჯგუფებმა მართლაც კარგად იმუშავეს და ამით ჩვენს მოსახლეობას ის დიდი პრობლემა მოუხსნეს, რაც ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის მიუწოდებლობას შეიძლება გამოეწვია“—გაგვიცხადა მან.

მოგითხრობთ უფრო დაწვრილებით...

უპირველესად იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, მისი სამსახურები, როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, მომზადებული შეხვდნენ ზამთრის სეზონს, რაც კარგად გამოჩნდა პირველი თოვლის მოსვლის დღესვე—13 თებერვალს. როცა თოვლისგან ოპერატიულად გაიწმინდა მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გზები...

გზების გაწმენდის სამუშაოები პრაქტიკულად არ შეჩერებულა შემდგომშიც, მთელი თოვლცვენის განმავლობაში... ამ მხრივ კარგად იმუშავა მერიის კომუნალურმა სამსახურმა, მისმა ტექნიკამ. პრაქტიკულად ყველა სოფელში შევიდა მერიის „JSB“ტიპის ორი ტრაქტორი და ერთი გრეიდერი, იწმინდებოდა ქალაქ თერჯოლის ქუჩები, ტროტუარები, ითოვლებოდა მწვანე ნარგავები. შედეგი კი ის იყო, რომ ყველა სოფელში ყველა ცენტრალური გზა, თოვლიანობის ყველა პერიოდში გავლადი გახდა. რაიონში გამართულად მუშაობდა სასიცოცხლო ობექტები, საცხობები, წყალსადენები, უწყვეტი იყო გაზმომარაგება და ენერგომომარაგება ერთეული გამონაკლისების გარდა, რაც ხანმოკლე პერიოდებით შემოიფარგლებოდა. სამწუხაროდ, დიდთოვლობის გამო ზოგიერთმა ოჯახმა მიიღო გარკვეული ზარალი, რომელთაც ოპერატიულად დაეხმარათ მუნიციპალიტეტის მერია.

ამ დღეებში, ჩვენ დავუკავშირდით, როგორც „საქქორგაზის“ თერჯოლის სერვისცენტრის მენეჯერს, გიგა ზაუტაშვილს, ისე „ენერგოპროჯორჯიას“ მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელს კობა დვალს, მათ დიდთოვლობის პერიოდში სამსახურების ოპერატიული მუშაობა მოვუწონეთ და ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ეთქვათ ამის თაობაზე.

გიგა ზაუტაშვილი: „ჩვენი კომპანიის გადაწყვეტილებით, ზამთრის სეზონისათვის მზადება ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულის დამთავრებისთანავე დაიწყო. არაერთი პროფილაქტიკური ღონისძიება გავატარეთ დაწყებული ქსელების, მრიცხველების, ოჯახებში აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამართულობის მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით და სხვა. ყველა შემთხვევაში მივაღწიეთ აღმოგვეფხვრა ხარვეზები. ამ საქმეში ჩვენ კარგი თანადგომა გაგვიწია მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, რომელიც გაგებით მოეკიდა ჩვენს მიერ პროფილაქტიკური სამუშაოებისათვის განხორციელებულ პერიოდულ გამორთვებს. ჩვენი შენიშვნების გათვალისწინებით მათ ასევე წესრიგში მოიყვანეს თავიანთი საყოფაცხოვრებო ტექნიკა და აღმოიფხვრეს გამოვლენილი ესა თუ ის ხარვეზი. სწორედ ამ სამუშაოების შესრულებამ შეგვიქმნა იმის წინა პირობა, რომ გამართულად გვემუშავა დიდთოვლობის პერიოდში და არ გვქონოდა შეფერხება ბუნებრივი აირის მიწოდებაში მოსახლეობისათვის თუ არ ჩავთვლით ორ საავარიო შემთხვევას, ერთი სიქთარვაში, რომელიც თვით ადგილობრივი მომხმარებლის დაუდევარმა მოქმედებამ გამოიწვია და მეორე— სოფელ ზედა სიმონეთში, რაც ჩამოწოლილმა მეწყერმა გამოიწვია. ორივე დაზიანება ოპერატიულად აღმოიფხვრა ჩვენი ძალებით. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ როგორც წესი, მეტად რთულია ავარიის შედეგად გამართული ქსელის ჩართვაც, ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება...

სიქთარვის მსგავსი შემთხვევები რომ თავიდან იქნას აცილებული, ვთხოვეთ როგორც მოსახლეობას ისე დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, წინასწარ გაგვაფრთხილონ იმ სამუშაოების შესახებ, რასაც ბუნებრივი აირის გამტარი სისტემების სიახლოვეს გეგმავენ. არავის დავზარდებით, ყველას გავუწევთ შესაბამის კონსულტაციას და ზედამხედველობას კონკრეტული სამუშაოების შესრულების დროს“.

კობა დვალი: „ჩვენმა კომპანიამ-„ენერგოპრო-ჯორჯიამ“ უმთავრეს ამოცანად თავიდანვე ქსელების მდგომარეობის პრობლემის მოგვარება და აბონენტთა გამრიცხველიანება დაისახა.

ამ ეტაპზე ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები ეტაპობრივად კვლავაც მიმდინარეობს, გამრიცხველიანება კი მთლიანად დამთავრებულია.

ხაზგასმით ვიტყვით, რომ ამჟამად ჩვენი ქსელის მდგრადობა და მოხმარებული ელენერგიის გადახდის პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი და სტანდარტებთან მიახლოებულია.

რაც შეეხება ამ ზამთარს... ავარიული შემთხვევები ყველაფრის მიუხედავად დიდთოვლიანობის გამო მაინც გვქონდა, რამდენიმე ათეული მაინც... მათი აბსოლუტური უმრავლესობა თოვლის გამო წაქცეულმა ან მეწყერით დაცურებულმა ხეებმა გამოიწვიეს... რა თქმა უნდა, შესაბამისად დაფიქსირდა ფიდერების ამორთვაც...

იმ პერიოდში მუნიციპალიტეტის 40 ფიდერიდან სხვადასხვა დროს 15 ფიდერი იყო ამორთული, რასაც ჩვენი ძალებით გავუმკლავდით. ამას კი ვერ შევძლებდით, რომ არ ყოფილიყო მუნიციპალიტეტის, პირადად მერის მოვალეობის შემსრულებლის, მანუჩარ რობაქიძის თანადგომა და მერიის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობა.

ასე ერთობლივად შევძელით, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტი იმერეთში პირველი იყო, რომელმაც უმოკლეს დროში აღადგინა მოსახლეობის სრული ელმომარაგება“.

დავით შალიკაშვილი

ქრონიკები ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან...



გასული, XX საუკუნის, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, „თერჯოლის“ რედაქციის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან.

სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი პირველი წინამორბედის, **პირველი მემატიანის „ჩხარის კოლმეურნის“ მხოლოდ 1934 წლის 12 თებერვლის** ნომერი მოვიპოვეთ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პირადად ქალბატონ მაია მიქაბერიძეს. ამჯერად, ჩვენი უძველესი გაზეთის მეორე გვერდს გთავაზობთ. „თერჯოლას“ მომდევნო ნომრებში კი სხვა გვერდებსაც გაგაცნობთ. ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის (რაიონის) წარსულის ამ ქრონიკებს ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

ტექსტები დედნების იდენტურია.

გოგნისა და თერჯოლის კოლმეურნეობებმა

თავი უნდა დააღწიონ საქონლის მოვლა-პატრონობაში სამარცხვინო ჩამორჩენას

მოვამზადოთ მანქანა-იარაღები მე-5 ბოლშევიკური თესვისათვის!

რა უთხრა თათბირმა საქონლის მომვლელებს

3 თებერვალს მოწვეულ იქნა ჩხარის რაიონის ყველა კოლმეურნეობათა საქონლის მომვლელების თათბირი. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა რაიმინგანის ზოოტეხნიკი ამხ. სოხაძე, რომელმაც ამომწურავად განმარტა ამჟამად საქონლის მოვლა-პატრონობის საკითხი. აღნიშნა, რომ საქონელი უნდა იკვებებოდეს ნორმების მიხედვით მაგ: ერთ ცალ ხარს დღე-ღამეში უნდა მიეცეს 7 კილო უხეში, ერთი კილო კონცენტრიული და 3 კილო წვნიანი საკვები. საკვები უნდა მიეცეს 3-ჯერ დღე-ღამეში. უნდა დასუფთავდეს დღეში ორჯერ სათანადო იარაღებით. წყლის დალევნება უნდა ხდებოდეს დღეში ორჯერ, აღნიშნა აგრეთვე, რომ კოლმეურნეობები გარდა ტელეფისა და თუზის უზრუნველყოფილია საყოფი საკვებით. სუსტი ხარები გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, საერთოდ გაძლიერებული კვება დაიწყება 25 თებერვლიდან. თესვას ვიწყებთ 10 მარტიდან, ვამთავრებთ 5 მაისს. გამწევი ძალა კარგადაა მოვლილი: ტელეფის, რუფოთის, ჯგილათის და ზედა ალისუბნის კოლმეურნეობებში, ცუდათ უვლის ხარებს გოგნის არტელი. ვრცელი მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ:

ამხ. სოფრომაძე (აგრონომი)

პირუტყვის სადგომი ბინების სისუფთავეზე ბევრად არის დამოკიდებული საქონლის ჯანმრთელობა, საქონელს უნდა ვასვათ აუცილებლად წყაროს წყალი, რომელიც შედარებით უფრო თბილია. უნდა დავიცვათ სისუფთავე, რისთვისაც ხარებს ჩლიქები ხშირად უნდა დაუწმინდოთ.

ამხ. გაჩეჩილაძე (ვეტექიმი)

დაწვრილებით განმარტა საქონლის დაავადების გამომჟღავნების წესები, საქონელი დასასუფთავებლად გარეთ უნდა იქნას გამოყვანილი. გაპიროვნებული ხარები კერძოდ არ უნდა ამუშაონ, როგორც ამას ადგილი ქონია.

ამხ. როგაძიძე (გოგნი)

ჩვენ არა გვაქვს ხარების დასაბმელი ბაწრები, არც სოია გვაქვს საკმარისი.

ამხ. აბულაძე (ციცქა)

ჩვენი ბოსელი არ არი კარგად მოწყობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შევძელით საქონლის სათანადოთ მოვლა, ბოსელში უდიდესი სისუფთავეა, კვება მოწესრიგებულია, რის შედეგადაც გამწევი ძალა ძლიერია.

ამხ. ცხადაძე (სიქთარვა)

ბოსელი არა გვაქვს ისე დიდი მოცულობის, რომ თითო ცალ ხარს 3,4 კვადრატული მეტრი ადგილი დაუთმოთ. დასუფთავების დროს ყოველთვის გარეთ გამოყვანა ხარებისა არ არის შესაძლებელი.

ამხ. როგაქიძე (ღვანკითი)

ხარებს წყალს წყაროზე ვასმევთ, მაგრამ გზა ძალზე ტალახიანია და ფეხები ესვრებათ, ვერ უზრუნველყავით გზის გაკეთება. კვება ჩვენთან კარგია, სუსტი ხარები არა გვყავს, ჩოთქები არა გვაქვს, ვერ ვიშოვნეთ.

ამხ. წიწილაშვილი (თუზი)

ჩვენ გვყავს 24 უღელი ხარი, 5 უღელზე თითო მომვლელი გვყავს გამოყოფილი. შემოღებული გვაქვს დიფერენციალური კვება, იმის მიხედვით თუ რომელს მეტი სჭირდება. წყლის გზა ჩვენთანაც ცუდია და ამავე დროს შორსაცაა ვერ შევძელით გაკეთება.

ამხ. მოდებაძე (საზანო)

გვყავს 8 უღელი ხარი, აქედან დასუსტებულია 4 ცალი, ძმები ხამაშურიძეები უდიერად ეპყრობიან ხარებს, არ მოყავსო საერთო ბოსელში და გადაჭარბებულად ხედნიან, რამაც გამოიწვია ხარების დასუსტება.

ამხ.ფორჩხიძე (თერჯოლა)

ჩვენს ბოსელში ჭერი ისეა დაგებული, რომ სინესტე წინ მიდის, სისუფთავის დაცვა ძნელია. სილოსი დავიდა ცუდ ბალახზე და ხარები აღარ სჭამენ. სოიას პარკად ვაჭმევთ. საქონელს ტილი ასევია, ექიმმა წამალი გამოწერა, მაგრამ გამგეობამ არ გამოიტანა.

ამხ. დემურია (რაიოკომი)

დაწვრილებით შეეხო ხარების მოვლის საქმეში მიღწევა ნაკლოვანებებს აღნიშნავს, თუზის ბოსელი კარგია, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ყინვაში, კარები არ ქონდა გაკეთებული. სკანდეში ბოსელი ცივია, ჭერი მოკლე, ხარი ვერ ეტევა, ალისუბანში კერძოდ ხედნიან ხარებს, ეს უნდა აიკრძალოს. თერჯოლაში ფორჩხიძე ცუდი მომვლელია, მან გამოწერილი წამლის გამოტანა ვერ შეძლო, სხვა რაღა უნდა გააკეთოს, სოიას გაუფშვნელად ჭმევა არ შეიძლება და სხვ.

ამხ. პაიჭაძე (რაიკომი)

დაახასიათა კოლმეურნეობათა საერთო მდგომარეობა, შეეხო პირუტყვის გამოზამთრების საკითხს და აღნიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამწევი ძალის სისუსტე მოწმობს იმას, რომ ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები არ შეეფერებიან თავიანთ თანამდებობას მათ არ შეუძლიათ, გაუძღვენ არტელებს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია, მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა ზოგიერთებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს უარყოფითი მხარეების აღმოფხვრა ამ მიმართებით თუ არა ხელმძღვანელობის სისუსტისა სხვა მხრივ არ შეიძლება ხარების დასუსტების გამართლება, რომელსაც ადგილი აქვს საზანოში და სხვაგან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ვეტ. მომსახურების სისუსტეც.

ამხ. ალ. ფანჩულიძე (რაიაღმასკომი)

ჯამი გაუკეთა და შეადარა მდგომარეობა გასულ წელში და ეხლა. აღნიშნავს, რომ საკვების მხრივ წელს გაცილებით უკეთესი პირობებია, მიღებულია კოპტონი დიდი რაოდენობით, საჭიროა წაიღონ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეობათა ხარები თავისუფლად დაამუშავებს მათ ფართობებს. თითო უღელ ხარზე მოდის გექტარ ნახევარი ფართობი დასამუშავებლად, რაც ცოტაა.

საქ. ა.ლ.კ. ჩხარის რაიკომის ბიუროს დადგენილება

მე-5 ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში
კ.კ-ის მონაწილეობის შესახებ

რაიკომის ბიურო ადგენს: 1. დაევალოს საორგანიზაციო განყოფილებას დაამუშაოს საკითხი საგაზაფხულო თესვის შესახებ ერთიან საკ. დღეზე მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით.

2. დაევალოს კომკავშირის უჯრედის მდივნებს, ბრიგადების გამოყოფით სას. საბჭოებთან ერთად დაიყვანონ მათზე მოცემული გეგმები თითოეულ კოლმეურნემდე და ინდ. მეურნემდე.

3. წინადადება მიეცეს კ.კ. უჯრედის მდივნებს გაშალონ მასიურ კულტურული მუშაობა (კედლის გაზეთი, წითელი და შავი დაფა).

4. დაევალოს მათვე გამოიყენონ ამ საქმეში კ.კ. მასწავლებლები და სამკითხველოს გამგეები და ხდებოდეს მათი დავალების სისტემატური შემოწმება.

5. გაცხოველებულ იქნას „მს“ კ. ჯგუფების მუშაობა კლასიური მტრების შემოტევის წინააღმდეგ.

6. დაევალოს უჯრედებს, კომკავშირულ ბრიგადების საშუალებით მანქანა-იარაღების შეკეთების უზრუნველყოფა, თესლის შეწამვლა, დახარისხება, მუშა საქონლის მოვლა, ბრიგადების მოწყობა საწარმოო პრინციპის მიხედვით და ყველა სამუშევრებზე გაპიროვნება, რითაც თესვის გეგმის შესრულება უზრუნველყონ მოცემულ ვადებში.

7. დაევალოს ბ.კ.ო. რაი ბიუროს, პერსონალურად ამხ. ჩუბინიძეს დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი პიონერების თესვის კამპანიაში მონაწილეობის შესახებ.

8. დაევალოს კულტპროპგანყოფილებას უზრუნველყოს საგაზაფხულო თესვაზე საღამო წარმოდგენების მოწყობა კოლმეურნეობებში.

9. დაევალოს სარეწაო კოოპერაციის უჯრედის მდივანს ამხ. აბესალაშვილს გამოყოს კ.კ-ლი მჭედელთა ბრიგადა და უზრუნველყოს მანქანა-იარაღების შეკეთება ჩხ. ოქონის და ჩხ. ოქტომბრის კოლმეურნეობებში.

10. ამა წლის 10 თებერვლამდე მოწვეულ იქნას კომკავშირის აქტივის, 3 / რაზმის, სკოლებისა და სამკითხველოს გამგეების სარაიონო შეკრება, სადაც დამუშავდეს საკითხი თესვის კამპანიაში მათი მონაწილეობის შესახებ. მომხსენებლად გამოიყოს დ. კაჭკაჭოვი.

11. მე-5 ბოლშევიკური თესვის ჩატარებაში, გამოწვეულ იქნას სოც შეჯიბრებაში ზესტაფონის რაიოკომი, შეჯიბრების შედეგების შემოწმება მიენდოს კ.კ.ცეკას სას. სამ. განყოფილებას და გაზ. „ახ. კომუნისტის“ რედაქციას.

12. თესვის კამპანიის ჩატარებაში პრაქტიკული დახმარებებისათვის უჯრედზე მიმაგრებულ იქნას შემდეგი ამხანაგები: 1. ჩხარი—დ. კაჭკაჭოვი და ვ. აბესალაშვილი.

2. თუზი—შ. ჩუბინიძე და კ. ხაჭაპურიძე.

3. თერჯოლა—უ. ფორჩხიძე, ნ. ჭანტურიძე.

4. სიქთარვა—კ. სულამანიძე, ნ. ბოჭორიშვილი.

5. სიმონეთი—ს. ბარდაველიძე, ა. სულამანიძე.

6. საზანო—ნ. კორტი, პ. კვიჟაშვილი.

7. რუფოთი—კ. აბესალაშვილი, ვ. სიმონგულოვი.

8. ალისუბანი—გ. გიგაშვილი, დ. ამირანაშვილი.

9. ღვანკითი—თ. რობაქიძე, დ. აბესალაშვილი.

10. თავასა—თ. კაპანაძე, ბაღდინოვი.

11. გოგნი—ა. სიმონგულოვი, კ. სიმონგულოვი.

12. დაევალოს უჯრედის მდივნებს ყოველ ათ დღეში გზავნონ ინფორმაცია.

საქ. ა.ლ.კ.კ. ჩხარის რაიკომის
მდივნის მაგიერ დ. კაჭკაჭოვი.

გ.კ. ო. ჩხარის რაიბიუროს მოწოდება ყველა პიონერ ხელმძღვანელისა და პიონერისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! მოახლოვდა მე-5 ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის კამპანია, რომლის წარმატებით ჩატარებისათვის უნდა იბრძოლოს თითოეულმა პატიოსანმა მშრომელმა და მათ შორის პიონერებმაც. ამისათვის საკითხი „საგაზაფხულო თესვის კამპანიაში პიონერების მონაწილეობის“ შესახებ, დაამუშავეთ პიონერთა და შეუკავშირებელ ბავშვთა საერთო კრებებზე და დაისახეთ კონკრეტიული ღონისძიებანი. შეკრებაზე გამოყავით ბრიგადები დამკვრელ პიონერთა შემადგენლობით, რომლებიც უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს მანქანა-იარაღების აღრიცხვისა და მის დასუფთავება-შეკეთებაში. დახმარება გაუწიოთ თესლის შეწამლა დახარისხებაში, გაშალეთ კულტ-მასიური მუშაობა, გაზეთის ხმამაღლა კითხვა, გააცანით მშრომელ გლეხობას პარტიის და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი. გაშალეთ მინდვრად გლეხთა მხატვრული მომსახურება (ლექსების კითხვა, ცოცხალი გაზეთი, აგიტ. ბრიგადები და სხვა).

პიონერებო! გააძლიერეთ ბრძოლა კულაკების ნამსხვრევებთა, წამგლეჯებთან და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებთან. გადმოიღეთ პავლიშა მოროზოვის საგმირო მაგალითი კლასიურ მტერთა ბრძოლაში. მოაწყვეთ თქვენი ინიციატივით კოლმეურნეობებში კედლის გაზეთების გამოშვება და სხვ. ყველა ამ მუშაობაში მოიზიდეთ შეუკავშირებელი კოლმეურნე და ან კოლმეურნე ბავშვები.

საქ. ა.ლ.კ.კ. ჩხარის რაიკომის ბ.კ.ო. რაი ბიუროს თავ-რე ჩუბინიძე

გოგნისა და თერჯოლის კოლმეურნეობებმა
თავი უნდა დააღწიონ საქონლის მოვლა-პატრონობაში სამარ-
ცხვინო ჩამორჩენას
მოვამზადოთ მანქანა-იარაღები მე-5 ბოლშევიკური თესვისათვის!
რა უთხრა თათბირმა საქონლის მომვლელებს
ამხ. წიწილაშვილი (თუზი)
საქ. ა. ლ. კ. ჩხარის რაიკომის ბიუროს დადგენილება.

ქრონიკები ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან...

გასული, XX საუკუნის, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

ამჯერად გთავაზობთ პუბლიკაციებს გაზეთ „წინსვლის“ 1975 წლის 8 მარტის ნომრიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 1975 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეის დადგენილებით გამოცხადებული იყო ქალის საერთაშორისო წლად.

იმ დროს 3 მარტი—დედის დღე არ აღინიშნებოდა...

ოცდამეათედ აყვავდა ია

(ჩანახატი)

ადრეული გაზაფხულის მზის სხივები დათამაშებდა მხრებზე. ქუჩას მიუყვებოდა ნელი, ჩუმი ნაბიჯებით, ფიქრის ჩრდილები უკრთოდა სახეზე. დღეს რვა მარტია, გულში გაივლო, და... 1941 წლის ეს დღე მოაგონდა...

მაშინ ერთად მიუყვებოდნენ ამ ქუჩას. ვაჟს ხელში იების თაიგული ეჭირა, დაძაბული, ნერვიული ღიმილით მალიმალ გადახედავდა მხარდამხარ მიმავალ ქალს, მერე ერთ იის ღეროს თაიგულიდან ამოიღებდა, ნაბიჯს შეაჩერებდა, თითქოს ძალღონეს იკრებდა, სათქმელს ბაგესთან მიიტანდა და... ღიმილი ეყინებოდა სახეზე.

ვერ იქნა და თავი ვერ მოაბა სათქმელს. ქალი გუმანით გრძნობდა ვაჟის დაძაბული, არეული ნაბიჯების მიზეზი რომ თვითონ იყო და ისიც იდუმალ თრთოლვას აეტანა. დიდხანს მიდიოდნენ დამძიმებული ფიქრებით, უსიტყვო ტკივილებით, ჩუმი ოხვრით გულანთებულები.

—მალე ქალის სახლიც გამოჩნდება,—გაიფიქრა ვაჟმა და კიდევ ამოაძრო ერთი ღერი ია თაიგულიდან,—უნდა ვუთხრა, აუცილებლად უნდა ვუთხრა,—ფიქრობდა იგი...

...სევდიან დიდრონ წამწამებს აფახურებდა ქალი, მოლოდინით დატყვევებული...

ვაჟმა ნაბიჯი შეაჩერა. ქალიც შედგა, გრძნობას გაენაზებინა, თუმცა თავი ნებიერად და ამაყად ეჭირა.

—იცი მე... რვა მარტი მინდოდა მომელოცა!—ძლივს გასაგონად წარმოთქვეს ვაჟის მღელვარებისაგან გამშრალმა ტუჩებმა, და თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო, გაიღიმა.

ქალმა თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა მის გულსაც ვაჟის მძიმე ტვირთი გადადებოდა, იების კონა ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა, ღამე ნებისა უსურვა და კეკლუცად შეაბიჯა ეზოში.

დიდხანს ტკეპნიდა ვაჟი ქარისაგან გადამშრალ, ნაწვიმარ მიწას, ადრეული გაზაფხულის, მიწისა და იის სურნელი ელამუნებოდა სახეზე...

* * *

ოცდამეათედ მოვიდა გაზაფხული, ოცდამეათედ აყვავდა ია... დღესაც 8 მარტია, ფიქრობს ქალი, ისეთივე წყნარი, უღრუბლო საღამო...

ფიქრის ჩრდილები უკრთის სახეზე, ხან უსიტყვო საყვედური, ხანაც უსაზღვრო სევდა ეხატება,—როგორ ვერა თქვი, თუმცა, მე ხომ გავიგე შენი თვალებით ნათქვამი, ხომ მიიღე ჩემგან უსიტყვო ერთგულებაც, მაგრამ შენ ასე რად დააგვიანე? იწერებოდი მალე დავბრუნდები, ერთად შევხვდებით იებს და გაზაფხულსო.

ქალს თვალები ცრემლით ევსება. ამ ცრემლებში უზომო სიყვარული, უსაზღვრო ერთგულება და მოლოდინის ჩუმი ტკივილია ჩაძირული.

...ვაჟს ხელში იების კონა უჭირავს, ოცდაათი წელი გამოატარა იებს, ოცდაათი გაზაფხული და მაინც სიცოცხლითა და სურნელებითაა სავსე. ამაყი, წელგამართული და ჩვეული დინჯი ნაბიჯებით უახლოვდება ქალს...

—იცი, მე... —რვა მარტი მინდოდა მომელოცა, ამბობს ის და...

გულში იკრავს ქალი იების კონას, რომელშიც სიყვარულით ანთებული გულიც მოსჩანს და მისი ახალგაზრდობის სევდიანი ღრუბელიც, დაგვიანებული და საერთოდ უთქმელი სათქმელიც.

ქალის წინ ღამის სიცარიელე ასვეტილიყო...

ადრეული გაზაფხულის, მიწის და იის სურნელი ელამუნებოდა მას სახეზე.

მზია ცქიფურიშვილი

დიახ, ეს არის ოცნების აღსრულება!

ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი რომ ახლოვდებოდა, ჩვენი გაზეთისათვის მოწინავე ქალთა შესახებ მასალებს რომ ვაგროვებდით, თერჯოლის სამშობიარო სახლის უმცროს სამედიცინო მუშაკს ლუიზა ივანეს ასულ გამეზარდაშვილს შევხვდით და გავესაუბრეთ.

—ახალგაზრდები ხშირად საკუთარი მოწოდებით კი არ ირჩევენ მომავალ პროფესიას, არამედ ისეთ ტექნიკურ საშუალო და სასწავლებლებში შედიან, რომლებიც მშობლებს ან ახლო ნათესავებს მოსწონთ. რას იტყოდით თქვენს შესახებ?

—გეთანხმებით, ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევები, რაც თქვენ ბრძანეთ. დაამთავრებს ახალგაზრდა სხვისათვის სასურველ სასწავლებელს და სამუშაოზე გული არ მიუდის, მისთვის ნაძალადევია ყოველივე.

მე კი ოცნებად მქონდა ვყოფილიყავი მედიცინის მუშაკი, დავხმარებოდი ადამიანებს ჯანმრთელობის განმტკიცებაში. კერძოდ კი იმათ, რომლებიც პირველად მოდიან ამ ქვეყანაზე, ჩვილ ბავშვებს და მგონია ჩემს მოვალეობას ცუდად არ ვასრულებ.

—სად მიიღეთ განათლება?

—დამთავრებული მაქვს თერჯოლის საშუალო სკოლა, შემდეგ 1969 წელს კი დავამთავრე ქალაქ თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი. იმასაც გეტყვით, რომ პირველად მუშაობა ზესტაფონის, რაიონის სოფელ დილიკაურში დავიწყე, იქ მედდა ვიყავი, ვიმუშავე 7 თვე, ამის შემდეგ ჩემს მშობლიურ დაბა თერჯოლის სამშობიარო სახლში ვმუშაობ უფროს ექთნად.

—როგორ ვმუშაობ? ამაზე ჩვენს ხელმძღვანელებს ჰკითხეთ...

და პასუხიც ყველასგან ერთნაირი მივიღეთ. მინდობილ საქმეს ასრულებს დროულად, მაღალხარისხოვნად, აქვს კარგი, საქმიანი ავტორიტეტი, უყვარს თავისი პროფესია და აქვს ყველა უბანზე აბსოლუტური წესრიგი.

გვახარებს ასეთი დახასიათება და უფროს მედდას ლუიზა გამეზარდაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ დამწყები მუშაკია, ვუსურვებთ ახალ სასიხარულო წარმატებებს, პირად ცხოვრებაში ბედნიერებას.

ნ. ასლანიძე

8 მარტს მიუძღვნეს

მრავალი საინტერესო ღონისძიებები განახორციელეს თერჯოლის საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკებმა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის 6 მარტს აქ მოეწყო ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა, რომელსაც ესწრებოდნენ თერჯოლის საშუალო სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები.

შეკრება გახსნა და დამსწრეთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული მიულოცა თერჯოლის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე მანანა რამინის ასულმა მაკარიძემ. შესრულებული იქნა მონტაჟი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მაია მაკარიძე, ნინო ორჯონიკიძე, მარინა მაკარიძე, შორენა მგელაძე.

მოხსენებით შეკრებაზე—„დიდება საბჭოთა ქალებს“—გამოვიდა თერჯოლის საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ნინო რობაქიძე. ლექსები დედაზე წაიკითხეს ნინო ორჯონიკიძემ, აზა ტყავაძემ, მარინა მაკარიძემ, იამზე მაკარიძემ.

დასასრულს პატარებმა საკუთარი ძალებით გამართეს მხატვრული განყოფილება. შეასრულეს სიმღერები დედაზე, პარტიაზე, სამშობლოზე, 8 მარტზე, გაზაფხულზე და სხვა.

8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით წინასაზეიმო დღეებში ბიბლიოთეკაში მოეწყო სარეკომენდაციო ლიტერატურის სია და გამოფენა, პოპულარიზაცია ეწეოდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ ლიტერატურას.

ამჟამად ბიბლიოთეკა ფართო მოსამზადებელ მუშაობას ატარებს დიდი სამამულო ომის დამთავრების 80 წლისათვის ზეიმის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

შ. მხეიძე,
საბავშვო ბიბლიოთეკის
გამგე

თქვენთვის, ქალებო!

ანდაზები

დედობა და დიდება კარის მეზობლები არიანო.

უმამო ოჯახი გაიბზარა, უდედო-დაინგრაო.

ღმერთმა გაშოროთ ოჯახი უდედოდ, დარბაზი—უდედაბოძოდ, სკა—უდედაფუტკროდ, მაწონი—უმაწვნისდედოდ, მეტყველება—უდედაენოდ, ნაწარმოები—უდედააზროდ, სამშობლო—უდედულეთოდ და სამყარო—უდედამიწოდ.

ნაკვესები

მომხვეჭელს შეახსენა ცოლმა—ქალთა წელიაო, —და შე დალოცვილო, ჩემს ჯიბეს წელი მოწყვიტეს და შენი წელი მიშველისო?

მექრთამე ცოლს რვა მარტს ულოცავდა ხოლმე: სულით, გულით და ფულით, ამ ბოლო დროს კი მხოლოდ მესამე დააკლო.

თებერვალში არ იქორწინეს—თაფლობისთვე მოკლე გამოგვივაო.

მდივანმა დაურეკა უფროსს—სადღესასწაულო მზადების გამო სამსახურში ვერ მოვდივარო—და ნეტავ შემოგევლოთო.

საქართველოს უთხრეს—მოდაში პლატფორმები შემოვიდაო,—და ნეტავ ახლა მაინც მიეჩვიოს ზოგიერთი გათხოვილი ფეხმძიმობასაო.

დედამ შვილი დატუქსა—მამას ნუ აწუხებ შე მამაძაღლოო.

მწერალს ჩაუცინა ქალიშვილმა—ჩემს კაბის ბოლოს შეკეცვა მოუხდება და შენს ნაწარმოებს შეკვეცაო.

ქმარს კითხეს—კოპი საიდანაო და ცოლმა ჯამი ჩამომაწოდა და თავით მოვიგერიო.

ცოლმა დაარიგა ქმარი—რაკი ქალთა სადღესასწაულო თვე მოგწონს, ხშირად მომასმენინე ხოლმე „მარტო შენ გენაცვალეო“.

შინაბერამ ინატრა—ნეტავ ტელევიზორში გატანილი გოლივით ახალგაზრდობის გამეორებაც შეიძლებოდესო.

ნახევარსაუკუნოვანი ასაკი რომელი ქვეყნის ქალს ეამაყება და „საქართველოს ქალსაო“.

ვახტანგ ჯავრიშვილი

ჯარისკაცის საფლავთან

უკრაინაში, ტყის პირას, ქართველი ჯარისკაცის საფლავთან, ორი ძირი მზესუმზირა ამოსულა

მომესმა შენი ყივილი
და უცებ შემაჟრიალა,
იქნებ გაწუხებს ტკივილი,
იქნებ გაგეხსნა იარა!
აჰა, მოვედი, აქა ვარ,
მაგრამ თუ დედას ინატრებ,
ძმაო, შენს ფიქრში ჩამქრალა
მისი თვალების სინათლე.
თითქოს სიკვდილს არ დანებდი
და ელი სატრფოს ბარათებს,
მზესუმზირების თვალებით
მაშ, რატომ შემომანათე!
შენს სამარეზე დახრილი,
ფირფიტებს ღრუბლის ნახევი,
იქნება იმერელი ხარ,
იქნება, ბიჭო, კახელი,
ჩემი სისხლი და ხორცი ხარ,
ჩემი ფიქრი და ნაღველი!

ორი ნერგი

მამულის მზით გამთბარ ბაღში
დედის გულის გასახარად.
გაიზრდება ორი ბავშვი
შავგრემანი და შავთვალა.
ქართლის სითბოს გაწოვებდა
ძარღვში თრთოლვით დაივლიდა
ქართულ ნანას ვუმღეროდი,
გავზრდი შოთას შაირითა.
მშობელ მიწის დასაცავად
მუხლმოუდრეკ ჩაუქებად.
გული ტრფობით ანანთება
არასოდეს ჩაუქრებათ.
ჰე, მამულო, საოცნებო
მე შენს გარდა რა მქონია?
ცხრა შვილს ზრდიდა შენთვის დედა
ცხრა ვაჟკაცს და ცხრა გოლიათს.
მე კი მხოლოდ ამ ბაღნარში
ორი ნერგი გავახარე.
მათ შენს მიწას გაუღიმეს
ჩემი გულის დანახვამდე.
და ამ ქვეყნად რა რიგ მინდა
ერთი ნატვრა შემისრულდეს,—
შენს მიწაზე ფეხადგმულებს
და შენს მზესთან შეფიცულებს
ჰქონდეთ ძალა ამირანის,
და სიმტკიცე მაღალ მთისა,
შენს დროშის ქვეშ მიითვლიდე
ჩემს ნუგზარს და ავთანდილსა.

ლილი ნუცუბიძე

ვის ვანდობთ შვილებს...

სიტყვა თერჯოლის საპატიო მოქალაქეზე...

საზოგადოებისათვის არ არის სულ ერთი, თუ ვინ ჩაუყრის საფუძველს ახალი თაობის აღზრდას, ზნეობას, მის სულიერ სიწმინდეს და ფიზიკურ სიჯანსაღეს, თუ ვისგან აიღებს აზრიანი ცხოვრების მაგალითს ჩვენი შვილები და შვილიშვილები. სწორედ ამიტომ მასწავლებელს ყოველთვის ჰქონდა და აქვს საპატიო მდგომარეობა და დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა მხოლოდ მას უხდიდა და უხდის ქუდს. ამ ქუდის მოხდით გამოვხატავთ მასწავლებლისადმი პატივისცემას, იმასაც, რომ განათლების ღირებულებებს მაღალი პრიორიტეტი აქვს, რომ განათლება ქვეყნის მომავალია, რომ იგი გზაა ჩვენი ღირსეული არსებობის.

ნარგიზ ცქიფურიშვილი, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი და დირექტორი, ახლა პენსიონერი, განათლებული, მაღალი ზნეობის და საგნის-ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო მცოდნე—ათეულობით წლების განმავლობაში უყრიდა საფუძველს ახალი თაობის აღზრდის, რთულ და შრომატევად, მაგრამ საინტერესო საქმეს. მასწავლებლობა, სკოლა და გაკვეთილები, მოსწავლეები იყო მისი უპირველესი ზრუნვის საგანი. მისთანებზე თუ უთქვამს პოეტს დიდი სიყვარულით და მოწიწებით „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი ბავშვის მშობელი“.

მუშაობის მთელ მანძილზე უნერგავდა იგი აღსაზრდელებს საუკეთესო თვისებებს, ზრდიდა ჰარმონიულად ჩამოყალიბებულ, მცოდნე და მტკიცე ნებისყოფის მქონე, ზნეობრივად უხინჯო, ფიზიკურად ძლიერ, მამულის სიყვარულით გამსჭვალულ თაობას.

ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, რომლის მიზნები და ამოცანები დიდია, სწორედ ქართული ენის საფუძველზე ყალიბდება პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები. დაუღალავი შრომით უვითარებდა იგი მოსწავლეებს ძირითად სამეტყველო უნარებს, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურას, საკუთარი აზრის თანმიმდევრობით გამოთქმის და სხვადასხვა ტექსტების შექმნის, დამოუკიდებელი აზროვნების, წაკითხულის აღქმის და გაცნობიერების უნარს, ეხმარებოდა მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა... განვლილმა წლებმა ნათელყო, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანი მიღწეულია, ნარგიზ ცქიფურიშვილის აღზრდილებს ცუდი არასოდეს ჩაუდენიათ, მათ უსწავლიათ, უშრომიათ, კეთილი საქმეები უკეთებიათ, უმოღვაწიათ და მოღვაწეობენ რაიონში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რაც მთავარია, ქართული ეროვნული სული მათში გაძლიერებულ ადგილს იკავებს.

ნარგიზ ცქიფურიშვილს, როგორც ავტორიტეტულ აღმზრდელს, საუბრით, კარგი სიტყვით, გაკიცხვით თუ შენიშვნებით, შეეძლო სერიოზული ზეგავლენა მოეხდინა მოზარდის ქცევაზე, მოსწავლე ხომ შენიშვნებს მხოლოდ იმისგან იღებს, ვისაც ენდობა და ვისი შეფასების სამართლიანობაც სწამს, ნარგიზ მასწავლებლის მოსწავლეებს ასეთ ვითარებაში უწნდებოდათ სურვილი გამოესყიდათ დანაშაული, გაეკეთებინათ რაღაც კარგი მის პატივსაცემად.

ნარგიზს, ღრმად მორწმუნეს, ღმერთის მოყვარულს და მოშიშს, პატრიოტს, ხშირად უსაუბრია მოსწავლეებთან რწმენაზე, ქრისტეს მცნებაზე, მამულის სიყვარულზე, პიროვნული ინტერესების მამულის ბედისათვის შეწირვაზე, მხურვალე ეროვნულ გრძნობაზე. „ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზე დგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი, რომ პატრიოტიზმი ყოველთვის იყო და არის ქვეყნის გადარჩენის არსებითი პირობა“—უყვარდა თქმა.

ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს, მიაჩნია, რომ ხალხში არ არსებობს მავნე ტრადიცია, ხალხი ბრძენია, თვითონ მოიშორებს ზედმეტს და უსარგებლოს, საზიანოს და მიუღებელს.

1998-2007 წლები, თერჯოლის №2 საშუალო სკოლის დირექტორობის პერიოდი, გამორჩეული იყო. აქ სრულად გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის დამახასიათებელი ბევრი კარგი თვისება, შესაძლებლობები, მაგრამ მაინც, სკოლა და გაკვეთილები მისთვის ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა. ქალბატონ ნარგიზის დამსახურებაა, რომ ოთხი წლის განმავლობაში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება თერჯოლაში საზაფხულო და ზამთრის ბანაკს აფინანსებდა. ბანაკში რაიონის და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები ისვენებდნენ. ღირსეულად იქნა დაფასებული ნარგიზ ცქიფურიშვილის დამსახურება, იგი რამდენჯერმე იქნა დასახელებული რაიონის საუკეთესო პედაგოგად, დაჯილდოებულია პედაგოგის ხარისხის ნიშნით, აღიარებულია იმერეთის რეგიონის საუკეთესო პედაგოგად, მაგრამ ნარგიზ ცქიფურიშვილისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარულია, რომელსაც დღემდე იღებს იგი თავისი ყოფილი მოსწავლეებისაგან. იგი უყვართ და აფასებენ კოლეგები, პედაგოგები და რაიონის საზოგადოება, სწორედ ამიტომ, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ამ სიყვარულისათვის, ახალი წლის წინა დღეებში ნარგიზ ცქიფურიშვილს თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.

* * *

სხვადასხვა წლებში ოჯახურმა ტრაგედიებმა, უახლოესი და საყვარელი ადამიანების ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი დაღი დაასვა მის ცხოვრებას, ძველებური ხალისი და შემართება აღარ აქვს, მაგრამ ქალბატონი ნარგიზი ძლიერია, იგი ხომ წლების განმავლობაში „ჭირსა შიგან გამაგრება“-ს შთააგონებდა მოსწავლეებს. ყველაზე კარგად ქალბატონმა ნარგიზმა იცის, რომ ადამიანების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სიყვარული, რომ იგი სიცოცხლის ენერგიაა, სადაც არის სიყვარული, იქ არის ღმერთი, მას ხომ უყვარდა, უყვარს და ეყვარება ყველაფერი, რაც ღირებულია, რაც ამაღლებულია, ზნეობრივია, კეთილისმყოფელია.

ნარგიზ ცქიფურიშვილი არის მასწავლებელი, რომელსაც მოწიწებით უხდიან ქუდს. სხვა სამუშაო ნარგიზს არ ჰქონია, არც სხვა შემოსავალი, წელიწადში ერთხელ იღებდა „საჩუქარს“—8 მარტს, ქალთა დღეს, იებით, ცისფერი, არა, ცისფერი კი არა, იისფერი იებით და მისი ნაზი სუნით ივსებოდა მისი სამუშაო ოთახი და ბედნიერი იყო, მარტის თოვლქვეშიდან ამოჭრილი გაზაფხულის პირველი ყვავილებიც მიურთმევიათ. ასე იქნება ახლაც, ვინმე, არც დაუძახებს და ისე, კიბესთან დაუდებს იებს, ფურუსულებს, კვარაკუნჩხების სხვადასხვა ფერებს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მშვენივრად გათვალა მრავალ საუკეთესო პედაგოგთა შორის ნარგიზ ცქიფურიშვილი რომ ამოარჩია, დიახაც იმსახურებდა პენსიონერი პედაგოგი მნიშვნელოვან ჯილდოს—თერჯოლის საპატიო მოქალაქეობის მინიჭებას.

ნარგიზ ცქიფურიშვილი მადლიერია, კმაყოფილი, მაგრამ თავმდაბალია და უხერხულობს ამ მაღალ პატივს, მოკრძალებულად აფასებს თავის დამსახურებას თაობათა აღზრდაში, მაგრამ საზოგადოებამ იცის, რომ ეს მან დაიმსახურა.

საპატიო მოქალაქეობასაც ვულოცავთ და ქალთა დღესაც, ჯანმრთელობას და მშვიდობას ვუსურვებთ.

კითხვაზე—ვის ვანდობთ შვილებს—არის დამაჯერებელი პასუხი—ნარგიზ ცქიფურიშვილს და მისნაირთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება...

ასე ჰქვია სასწავლო პროექტს, რომელიც ამ დღეებში განხორციელდა ღვანკითის სსიპ გურამ ქარქაშაძის სახელობის საჯარო სკოლაში (დირექტორი **ინგა ჯალიაშვილი**) სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პედაგოგთა შორის, რომლებიც ღვაწლმოსილთა გვერდით ღირსეულად აგრძელებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს არის აღნიშნული სკოლის სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელი **ელისო ჩიქოვანი.** გარდა იმისა, რომ ელისო პასუხისმგებლობით ეკიდება და თავს ჩინებულად ართმევს საგნის სწავლებას, ამავე დროს იგი არაერთი აქტივობის თუ პროექტის ინიციატორია.

პროექტი: ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება, სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ დაიგეგმა მას შემდეგ, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ფემიციდის საშინელი ფაქტი მოხდა და 2 მცირეწლოვანი ბავშვი მშობლების გარეშე დარჩა. მიზანი პროექტისა კი არის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ასევე მოსწავლე-ახალგაზრდებში სამოქალაქო ღირებულებების უკეთ გააზრება-გამომუშავება.



პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა საინტერესო აქტივობები: 1. საზოგადოებრივი აზრის კვლევა მოცემული თემატიკის ირგვლივ. 2. ბუკლეტების მომზადება და გავრცელება და 3. კონფერენცია, რომელზედაც საკითხით დაინტერესებულმა მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესო თემები წარმოადგინეს.

„ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია“,—ასეთი იყო XI კლასის მოსწავლის **გივი წაქაძის** მიერ წარმოდგენილი მოხსენების, თემა: „შეაჩერე ფემიციდი“,—VIII კლასის მოსწავლემ **თეკლა ბუსკივაძემ** წარმოადგინა, ხოლო თემაზე „ქალი სიცოცხლე, თავისუფლება, ისაუბრა X კლასის მოსწავლემ **ნინი გავაშელაშვილმა.**

ელისო მასწავლებელს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი ჯგუფის მიზანი, მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ. დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში. ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად ასეთი პროექტებით გაცილებით ეფექტურად მიიღწევა.

ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 15 თებერვლის ნომერში ვიუწყებოდით თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების თაობაზე.

დაპირებისამებრ გთავაზობთ საკრებულოს მიერ განხილულ ორ მნიშვნელოვან საკითხს.

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამას.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2023 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამის ნუსხას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2023 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230452)

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი— საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ოქონა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

სეფარეთი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—სოფლის ცენტრში არსებული კლუბის სახურავის შეკეთება 16 000 ლარი

მაცხოვარი—სხვადასხვა უბანში გარე განათების მოწყობა 16 000 ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—მინი სტადიონის მოწყობა 16 000 ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—სასაფლაოს შემოღობვისათვის მასალების შეძენა 20 000 ლარი

კაკაბოური—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

თავასა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ჯგილათი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ვარდიგორა—გარე განათების მოწყობა 16 000 ლარი

ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—გარე განათების მოწყობა 15 000 ლარი

საზანო—26 მაისის უბანში წყლის სისტემის მოწყობისათვის სამშენებლო მასალების შეძენა 5 000 ლარი

დელტასუბანი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

შიმშილაქედი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ჩიხორი—ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 12 000 ლარი

მუჯირეთი—ცხაურის მოწყობა 1 000 ლარი

მუჯირეთი—ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 9 000 ლარი

სკანდე—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. ალისუბანი—გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

ზედა ალისუბანი—მინი სტადიონზე არსებული ხელოვნური საფარის მოწყობა 14 000 ლარი

ზედა ალისუბანი—სიჩქარის ბარიერის მოწყობა 2 000 ლარი

ზარნაძეები—ცხაურის მოწყობა 1 500 ლარი

ზარნაძეები—გარე განათების მოწყობა ზარნაძეების და ჩიტიძეების უბანში 5 000 ლარი

ზარნაძეები—ჭის მოპირკეთება ბერუაშვილების უბანში 3 000 ლარი

ზარნაძეები—საფეხბურთო მოედნის შემოღობვა 2 500 ლარი

თხილთაწყარო—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

მაჩიტაური—წყაროს მოწყობა 4 000 ლარი

მაჩიტაური—გარე განათების მოწყობა 6 000 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—მინი სტადიონის მოსაწყობად სამშენებლო მასალების შეძენა 20 000 ლარი

ტელეფა—სანიაღვრე არხის მოწყობა გურგენიძეების უბანში 10 000 ლარი

ტელეფა—სტადიონის შემოსაღობად მასალების შეძენა 6 000 ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—დედაღვთისის სალოცავამდე გარე განათების მოწყობა 5 000 ლარი

ღვანკითი—ქარქაშაძეების, კუპატაძეების, ქურცაძეების, გავაშელაშვილების და ამბროლაძეების უბნებში სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია 10 000 ლარი

ღვანკითი—მაჩაჩიძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 5 000 ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—გარე განათების მოწყობა 18 800 ლარი

ბარდუბანი—კლდიაშვილების უბანში შემოსაღობად ეკლიანი მავთულის შეძენა-მიწოდება 1 200 ლარი

სათემო—გარე განათების მოწყობა 12 000 ლარი

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული

ეწერი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ეწერი—ბოგირის მოწყობა უკლებების უბანში 1 500 ლარი

ეწერი—სხვადასხვა უბნებში გრუნტის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გრუნტის გატანით 8 500 ლარი

ახალი უბანი—საბავშვო ატრაქციონის მოწყობა 12 000 ლარი

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—გარე განათების მოწყობა 6 000 ლარი

სიქთარვა—ბაღის ეზის ღობის მოწყობა 7 000 ლარი

სიქთარვა—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა 3 000 ლარი

სიქთარვა—ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 4 000 ლარი

ჩხარი ეწერი—ბოგირების მოწყობა 5 000 ლარი

ჩხარი ეწერი— გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობა გატანით 11 000 ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—სხვადასხვა უბანში ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა 14 000 ლარი

ახალთერჯოლა—გარე განათების მოწყობა 6 000 ლარი

დევიძეების და ზარნაძეების უბანში 6 000 ლარი

ბოსელა—ცხაურისა და სანიაღვრე არხების მოწყობა სხვადასხვა უბნებში 6 000 ლარი

ბოსელა—გარე განათების მოწყობა 4 000 ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—სოფლის ცენტრში სკვერში ბავშვთა ატრაქციონის მოწყობა 5 000 ლარი

კვახჭირი—სკოლის მიმდებარედ არსებული მინი მოედნის მოწყობა 10 300 ლარი

კვახჭირი—სალდაძეების უბანში გარე განათების მოწყობა 700 ლარი

ოდილაური—აფრიდონიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა 3 000 ლარი

ოდილაური—ოდილაურის სტადიონის კეთილმოწყობა 5 000 ლარი

ოდილაური—სკოლის მიმდებარედ არსებული მინი მოედნის მოწყობა 8 000 ლარი

სარბევი—გარე განათების მოწყობა 4 400 ლარი

სარბევი—სკოლის მიმდებარედ არსებული მინი მოედნის მოწყობა 11 600 ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი— სანიაღვრე არხის მოწყობა სასაფლაოს მიმდებარედ 6000 ლარი

გოდოგანი—ქვაშავის და გორგოძეების უბანში საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 14 000 ლარი

ნაგარევი—მთავარანგელოზის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ნაგარევი—ნაგარევის სკოლის მიმდებარედ საპარკე ძელსკამების შეძენა 2 000 ლარი

ბროლისქედი—მინი სტადიონის მოწყობა 12 000 ლარი

ჭალასთავი—ხუჯაძეების უბანში ბეტონის გზის მოწყობა 10 000 ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—გარე განათების მოწყობა მეფისწყაროს უბანში 20 000 ლარი

ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირღელე—გარე განათების მოწყობა ლანჩავების უბანში 20 000 ლარი

ნავენახევი—ნავენახევის წყაროს რეაბილიტაცია 12 000 ლარი

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. სიმონეთი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა სოფლის ცენტრში 7 000 ლარი

ქვ. სიმონეთი—საბავშვო ბაღის ჭიშკრის მოწყობა 2 000 ლარი

ქვ. სიმონეთი—ცხაურების მოწყობა და სანიაღვრე არხის სხვადასხვა უბნებში 5 100 ლარი

ქვ. სიმონეთი—გარე განათების მოწყობა სოფლის ცენტრალურ გზაზე 3 900 ლარი

ქვ. სიმონეთი—მინი სტადიონისათვის მავთულბადის შეძენა 2 000 ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზ. სიმონეთი—სანიაღვრე სისტემის მოწყობა სხვადასხვა უბნებში 6 500 ლარი

ზ. სიმონეთი—გარე განათების მოწყობა 2 800 ლარი

ზ. სიმონეთი—ბეტონის საფარის მოწყობა ჯანელიძეები-გოცირიძეების უბანში 4 900 ლარი

ზ. სიმონეთი—საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილისათვის მასალების შეძენა 1 500 ლარი

ზ. სიმონეთი—ინერტული მასალის შეტანა-გაშლა 4 300 ლარი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230453)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის / ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან / და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2023 წლის 14 თებერვლიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 10 000 (ათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის ღონისძიებები:

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი / ბავშვები;

დ) ობოლი ბავშვები;

ე) ასევე ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები.

მუხლი 4. დაფინანსება:

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი / ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი:

1.მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან / და საჭიროებების შეფასების (სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას.

3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

მუხლი 6. დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის / ბავშვების დაბადების მოწმობა / მოწმობები.

ბ) მშობლის / ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გ) მშობლის / მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სამსახური, რომელიც მუდამ მადლიერებას იმსახურებს

მუნიციპალიტეტის მერიის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი—„თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური“ ერთ-ერთი ის გამორჩეული ორგანიზაციაა, რომელიც მუდმივ შეხებაშია მცხოვრებთა ყოველდღიურობასთან. ჩვენ ალიონიდან ვხედავთ, როგორ გულმოდგინედ გვიან და ასუფთავებენ ქალაქის ქუჩებს მეეზოვეები, რომ ჩვენს ირგვლივ გარემოში სანიტარული წესრიგი უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ყველამ არ ვიცით რამოდენა საზრუნავი და საკეთებელი აქვთ სხვა მიმართულებით.

ბატონი ტარიელი მოცემულ სამსახურს 2017 წლიდან ხელმძღვანელობს და ისეა შესისხლხორცებული შრომით კოლექტივთან, როგორც საკუთარი ოჯახის წევრებთან ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ხშირად არასამუშაო დღესაც (შაბათ-კვირა მაქვს მხედველობაში) საქმიანობენ რათა მოსახლეობასთან პირნათელნი იყვნენ.

ინტერვიუს ასაღებად მისულს გულთბილად შემხვდა და ისე დეტალურად გამაცნო საკეთებელი ჩაწერას ძლივს ავუდიოდი.

ჩვენი სამსახურის სამოქმედო არეალი ბოლო დროს მეტად გაფართოვდა. კერძოდ,—მიზნები და ამოცანები კი შემდეგია, მეუბნება ინტერვიუერი:

—ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი ადგილების დაგვა-დასუფთავება.

—ნაგავსაყრელების მოვლა-პატრონობა.

—საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენების (მათ შორის საბიუჯეტო დაწესებულების საყოფაცხოვრებო ნარჩენების) შეგროვება, გაუნეველყოფისა და განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება.

—ქუჩების, სკვერების და პარკების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და გამწვანება.

—გარე და დეკორატიული განათებების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.

—სანიაღვრე ქსელების მოწყობა და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

—ქალაქ გამწვანებასა და ქალაქ გაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

—მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვა და დაგვა-დასუფთავება.

—თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების, მიმდინარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების, გაზონების მოწყობა, მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების წარმოება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

—თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობა ინერტული მასალებით, საგზაო საინჟინრო ინფრასტრუქტურის (ბოგირების, ცხაურების, სანიაღვრე ქსელების და სხვა) მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

—თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სოფლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით) სისტემის მიმდინარე შეკეთებითი—სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, ასევე საჭიროების შემთხვევაში ახალი წყალმომარაგების (ტექნიკური წყლის) სისტემის მშენებლობა.

—მაწანწალა ძაღლების ქალაქიდან განრიდების უზრუნველყოფა.

—ზამთრის სეზონში ქუჩებისა და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

—მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქციებითა და დავალებებით სხვა ღონისძიებების გატარება.

დაგვა-დასუფთავებით დავიწყოთ. უპირველესად, საზრუნავია ქალაქი და 100%-ით ანუ მთლიანად ვუზრუნველვყოფთ მომსახურებას. წლების მანძილზე პრობლემური იყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის გატანა. სადღეისოდ სოფლების 80% მოცული გვაქვს და დანარჩენი 20-იდანაც მეტ-ნაკლებად ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. აღიკვეთა სტიქიური ნაგავსაყრელები. ეს პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება და გარკვეულ დროში მთლიანად დასრულდება. წელიწადში გაგვაქვს 7500 ტონაზე მეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ეს ის რიცხვია, რომლებიც მიმოფანტული იყო გზებსა და ხევებში, მდინარეების კალაპოტებში და ხიდ-ბოგირების სიახლოვეს. მთლიანობაში მიმოფანტული იყო არე-მარეზე და აბინძურებდა გარემოს, დასუფთავებასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი საზრუნავია საუბნო გზების მოწყობა, ხიდ-ბოგირების გაკეთება, წყალსავალი არხების შეკეთება. არ არის ადმინისტრაციული ერთეული, სადაც საუბნო გზები არ მოგვეწყოს, ან არ შეგვეკეთებინოს. ხიდ-ბოგირები გასულ წელს გავაკეთეთ ბარდუბანში, თუზში, საზანოში და ა.შ. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ უკვე ხრეშის საკუთარი კარიერი გამოგვეყო სოფელ ზედა ალისუბანში, ე.წ. მაჩიტაურის უბანში.

ადმინისტრაციული ერთეულებიდან ამ კუთხით საკითხის დაყენებასა და შესაბამისად მერიის დაკვეთების შესრულებას უპრობლემოდ და ოპერატიულად ვახდენთ.

ჩვენი სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია სოფლების ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. 19-ივე ადმინისტრაციულ ერთეულში ვახდენთ საჭიროების შემთხვევაში წყალმომარაგების სისტემის შეკეთებებს, ავარიული შეფერხებების აღმოფხვრას. ახლის გაკეთებას... მთელი რიგი სოფლებისა უკვე 24 საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს, ამდენად სამუშაოც მეტია. მათ შორის,—ზედა სიმონეთი, კვახჭირი, ჭოგნარი, ბარდუბანი, სიქთარვა, ღვანკითი. ეს სოფლები გამრიცხველიანებულია.

ბოლო პერიოდში აქტიურად წარიმართა სოფლებში, როგორც ცენტრალურ ადგილებში, ისე გზებზე გარე განათების მოწყობა. მათი მომსახურეობა საჭიროების შემთხვევაში შეკეთება, გარე განათების შეცვლა და ა.შ. ჩვენი სამსახურის მუშაკების მიერ ხორციელდება.

გარკვეული სამუშაოები შევასრულეთ სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად. ეს პროცესი სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება, თუმცა მერიის დავალებით არაერთ სოფელში შევზიდეთ საშენი მასალები, შევაკეთეთ გადახდილი სახურავები.

კომუნალური სამსახურის საქმიანობაში გარკვეული ადგილი უკავია უპატრონო და მიუსაფარი ძაღლების განრიდებას. ხდება მუნიციპალიტეტიდან პირუტყვის გაყვანა, საჭირო დამუშავებისათვის (კასტრაცია, რომ არ გამრავლდნენ და ვაქცინაცია, რომ არ გადაიტანონ გადამდები დაავადებები). შედეგი ისაა, რომ როგორც ქალაქში, ისე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა მაწანწალა ძაღლების მიერ ადამიანთა ან ცხოველთა დაკბენის შემთხვევები.

კმაყოფილებას გვანიჭებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობა კმაყოფილია ჩვენი მომსახურებით. არაერთხელ მოგვისმენია მადლიერების სიტყვები მცხოვრებლებიდან. აქვე მინდა ვთხოვო მათ, რომ მეტი შესაძლო დახმარება გაუწიონ ჩვენს მეეზოვეებსა და ტრანსპორტით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამტანებს.

კერძოდ,—არ ჩაყარონ სანაგვე ურნაში საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად სამშენებლო ნარჩენები. ურნები პლასტმასისაა, ძვირადღირებული და მოარიდონ მას სწრაფაალებადი ნივთიერებები. არ დაუშვან ანთებული სიგარეტის ნამწვის ურნაში ჩაგდება.

ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა დიდად წაადგება საერთო საქმეს.

ესაუბრა ი. ერაძე

სარვამარტო მისალოცი

მამაკაცების სახელით

დიდება დედა-ქალბატონებს და ქალწულებს
თმებში ყვავილებ-ჩაწნულებს.
3 და 8 მარტი—
კაცებს არა გვაქვს სხვა მისამართი!
გფარავდეთ სამშობლოს ლოცვა
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი.
ეს ორი მცნება, ორი სახება
სიმღერა არის საქართველოსი.
მეისტორიე გვიამბობს ამბებს
არა ლეგენდებს, არამედ ნამდვილს
ჩვენი სამშობლო ბევრჯერ უხსნია
ქართველი ქალის მანდილს...
ჰოდა, „აპრილი მოვა თქვენი ღიმილით“,
მარტს გააყოლებს ზამთრის განაჩენს,
მაისის წვიმა ჟუჟუნა
გიამბობთ ამბებს დანარჩენს...
გმადლობთ, რომ სამშობლოს იმედად დგეხართ:
მისი უკვდავებისთვის, მისი სიყვარულისთვის,
„სამოთხიდან გადმორგული ხე ხართ!“

ნუგზარ იშხნელი

კროსვორდი

დედაშვილობის მადლი



1. ქალი თავისი შვილების მიმართ. 2. მზის სისტემის პლანეტა. 3. დედ-მამის ერთადერთი შვილი. 4. ძველი ქართული სახლის დარბაზის მთავარი ბოძი. 5. შვილიშვილის შვილი. 6. ქართველი ქალი მწერალი, მოღვაწე. 7. ქართველი ქალი მოჭადრაკე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. 8. ცნობილი ქართველი ქალი პოეტი. 9. საეკლესიო დღესასწაული. 10. ცნობილი ქართველი ქალი მხატვარი (მოქანდაკე). 11. ...იმედი. 12. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი. 13. მღვდელი, ანუ... 14. სოფიკო... 15. დედულეთი, ანუ... 16. ქართველი ქალი პოეტი. 17. დედაშვილის ურთიერთობა.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ელიზა და დათო ბლიაძეებს სიძის

გოდერძი ბოჭორიშვილის

გარდაცვალების გამო.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, სამეურვეო საბჭო და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგის ანა რიჟამაძის მამა

ვასიკო (ვასილ) რიჟამაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

მოთხრობა ახალგაზრდა მომღერალ ქალზე, რომელიც პარიზში მღერის... საქართველოსთვის

თერჯოლაში დაიბადა, კეთილშობილ მშრომელ ოჯახში.

ელგა ფორჩხიძემ თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა სიმღერის ნიჭი, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი მომავალი გზა და ცხოვრება.

მომხიბვლელი, უშუალო, დახვეწილი... სიყვარულით ანთილი თვალებით იხსენებს პირველი გზის გამკვალავს, ცნობილ პედაგოგს—პროფესორ მარიამ აგლაძეს. მადლიერებით საუბრობს თერჯოლის მოსწავლეთა სახლში, იმდროისათვის, არსებულ ვოკალურ- ინსტრუმენტულ, ანსამბლ „მნათობის“ სულისჩამდგმელ ნიკოლოზ ედგარიძის შესახებ. სწორედ აქ მოუსმინა დამწყებ მომღერალს ჯემალ სუფიაშვილმა „ეს ბავშვი ვარსკვლავი გახდება“-ო, ასეთი იყო პროფესიონალის შეფასება.

ასე იწყებოდა, ასე მოდიოდა აწ უკვე საესტრადო არეალში აღიარებული მომღერალი ელგა ფორჩხიძე.

თერჯოლის პირველ საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად მომავალმა პროფესიონალმა თბილისის მუსიკალურ-ექსპერიმენტული სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ იყო მუსიკალური თეატრის სამსახიობო ფაკულტეტი.

ასე, თანდათან იწყება ელგას სერიოზული წარმატებები, იმარჯვებს კონკურსში: „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“...

ახალი ფესტივალები, ახალი გამარჯვებები... პრიზები, დიპლომები, სულ უფრო მეტი და მეტი მაყურებელი სტუმრობს დარბაზებს, სადაც ელგა მღერის, სადაც ელგა მონაწილეობს, ის შვენის სცენას...

თუ პირობითად ეტაპებად დავყოფთ მომღერლის სამოქმედო არეალს, მაშინ პირველ ეტაპად პარიზამდელი პერიოდი უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მეორედ—პარიზში დამკვიდრება და მოღვაწეობა.

***

ასე წარიმართა მომღერალ ელგა ფორჩხიძის, როგორც მაღალპროფესიონალი საესტრადო მომღერლის გზა, რომელმაც სენის ნაპირებამდე მიიყვანა ჩვენი, პაწია მდინარის პირას დაბადებული შემოქმედი. ეს სასწაულია, ღმერთისაგან ნაბოძები უთუოდ...

პარიზი!..

პარიზი სულ სხვაა, თვალისმომჭრელი, კეთილი და მკაცრი, მიმტევებელი და მომთხოვნი, განსხვავებული, მზის ნათებასთან წილნაყარი...

ვიქტორ ჰიუგოს, ონორე დე-ბალზაკის, ალექსანდრე დიუმას, სხვათა და სხვათა პირმომცინარე დედაქალაქი...

პარიზმა დაიმშვენა ამაყი კავკასიელი მომღერლის ხიბლი და ქართული სინაზე.

დადის პარიზის ქუჩებში ღიმილმოსილი და კეთილმოსურნე ყოველთა, ძნელად შესამჩნევი სევდის მატარებელი—სამშობლოს ცრემლი რომ ჰქვია. მშობლებისა და თავისიანების ხმებს რომ ნატრობს: „დედი, როგორ ხარ, წამლები თუ მოგიხდა? მამა როგორ არის? ჩვენიანები? ღმერთო, როგორ მენატრებით! ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ, როდის მოგეხვევით?“

ეს მცირედი ამონაკრებია ცრემლიანი სტრიქონებიდან.

ასეთია სამშობლოს სევდა...

***

პარიზელებს კი არ ეთმობათ თავისი საყვარელი მომღერალი...

სატელევიზიო კინო კადრები გვიამბობენ, როგორ ეფერებიან ისინი თავიანთ კერპს...

***

მანამდე კი...

კაბარე საფრანგეთის პრესტიჟულ უბანში... კარს თამამად უღებს უცნობ მომღერალს და... მერე რაც ხდება, ეს ზღაპარს უფრო ჰგავს! „მორჩა, ამიერიდან თქვენ ჩვენთან იმღერებთ!“ გაისმის დამაჯერებელი და ბედნიერების მაუწყებელი კილო!

***

დიახ, უკვე ექვსი წელია, რაც ელგა ფორჩხიძე პარიზის ცნობილ უძველეს კაბარეში „ Aux Trois Mailletz“-ში მღერის და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ სტუმრებს აოცებს თავისი დამატკბობელი ხმის ტემბრითა და შესრულების მანერით.

ელგა იმ კაბარეში მღერის, სადაც ნინა სიმონე, ლუი ამსტრონგი და არაერთი ცნობილი ვარსკვლავი მღეროდა. ელგა პირველი ქართველია, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება აქ ემღერა.

ახლახან, საქართველოს კინოეკრანებზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა, თქვენ! ღამე მშვიდობისა მე“... როლის რეჟისორიც დრამატურგი, მწერალი და დოკუმენტალისტი თამარ ბართაია გახლავთ.

ფილმში არაჩვეულებრივად არის ნაჩვენები ელგა ფორჩხიძის ცხოვრების გზა—ჩვენი პატარა ქალაქიდან პარიზამდე.

ეს ელგას გზაა, რომელიც შრომით, ნიჭიერებით, სიყვარულით, გულწრფელობით, რწმენით გაიარა.

ქალთა დღესასწაულს გილოცავთ, ელგა.

ელგა, სამშობლოს უყვარხარ.

თერჯოლაში შეხვედრამდე.

ნუგზარ გამყრელიძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872